

თჰუ
სამართლის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი №10

თბილისი

9 სექტემბერი 2013 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფ. კახი ყურაშვილი; 2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი; 3. პროფ. არჩილ ლორია; 4. პროფ. ლელა ნადიბაიძე; 5. ასოც. პროფ. დავით გეფერიძე; 6. ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე; 7. უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე, 8. უფრ. მასწ. შალვა ქურდაძე; 9. უფრ. მასწ. მაია ივანიძე; 10. სტუდენტი ალექსანდრე გოჯიაშვილი; 11. სტუდენტი ლევან ბაღდადელაშვილი 12. სტუდენტი ლორენა შამათავა

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

1. სამართლის ფაკულტეტთან არსებული იურიდიული კლინიკის მიერ წარმოდგენილი პროექტის მოწონების თაობაზე (მომხს. კ. ყურაშვილი)

მოისმინეს:

პროფ. კახი ყურაშვილის ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ თჰუ სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით, სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკის მიერ წარმოდგენილი იურიდიული კლინიკის მიშაობის პროექტი, რომელიც წარმოადგინა ფაკულტეტის უფროსმა მასწავლებელმა ნინო ნიჟარაძემ დანართი 1-ის სახით. აღნიშნულ პროექტში ასახულია იურიდიული კლინიკის სამუშაო გეგმა მიმართულებების მიხედვით და აღწერილია საჯარო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის მიმართულებების მიხედვით ცალკ-ცალკე. საბიუჯეტო უზრუნველყოფისათვის მოთხოვნილია 1500 ლარიანი დაფინანსება, სახელფასო სარგოების გარეშე.

მომხსენებელმა საბჭოს სთხოვა მხარი დაუჭირონ წარმოდგენილ პროექტს.

აზრი გამოთქვას: ასოც. პროფესორმა დ. გეფერიძემ და უფრ. მასწ. მ. ივანიძემ

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკის 2013-2014 სასწავლო წლის საქმიანობის პროექტი, დანართი 1-ის სახით;


2. აღნიშნული პროექტის რეალიზაცია დაიწყო 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან;
3. ეთხოვოს თპუ რექტორსა და ადმინისტრაციულ სამსახურს, 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებამდე, პროექტის დაფინანსების გამოყოფა;
4. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თპუ ვებ-გვერდზე;
5. ეთხოვოს თპუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :



კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ე. ისემაძე



ე. ირემაძე